



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი
დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის
„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და
„სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის თაობაზე

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „სამართალი“

შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი“

შეფასების თარიღ(ებ)ი
8-16 ივლისი

პროექტი წარდგენის თარიღი
25 აგვისტო

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი“
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	400028849
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სამართალი
უმაღლესი განათლების საფეხური	III საფეხური, დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	სამართლის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სამართალი 0421
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	60
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტირებული. აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N100, 18.08.2016

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნონა ზუბიტაშვილი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,	ლევან ჯაყელი, ბათუმის სახელმწიფო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შემოწმების მიზნით წარმოდგენილია შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „სამართალი“. საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე. პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი. სასწავლო კომპონენტი შედგება 60 კრედიტისგან. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაციაა - სამართლის დოქტორი/ Doctor of Law/.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა. ასევე ცენტრთან შეუამდგომლობის საფუძველზე განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ონლაინ დათვალიერება და ექსპერტების მიერ დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვა ცენტრის მეშვეობით.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

პროგრამა შესაბამისობაშია „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ ასევე აკრედიტაციის სტანდარტებთან:

პირველი სტანდარტი: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი: 4.1 და 4.2 სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

▪ რეკომენდაციები

გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა პროგრამის მე-12 გვერდზე და შესაბამისობაში მოვიდეს დოქტორანტურის დებულების 31-ე მუხლითა და დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის მე-17 მუხლით გათვალისწინებულ გასაჩივრების პროცედურასთან.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
 - შესაბამისობაში მოვიდეს არჩევითი სასწავლო კურსის „აკადემიური წერა“ სილაბუსით და პროგრამით გათვალისწინებული სახელწოდებები.
 - სასწავლო კურსის „აკადემიური წერა“ შინაარსი და სავალდებულო ლიტერატურა გადაიხედოს/შეფასდეს სადოქტორო პროგრამის საფეხურის კომპლექსურობის ჭრილში;
 - სასურველია სწავლის შედეგების შეფასების გეგმით განისაზღვროს სწავლის შედეგების პერიოდულობა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
 - პროგრამის სტუდენტების ნაშრომები, უსდ-ს დაფინანსებით, ქვეყნდება უსდ-ს ორენოვან გამოცემაში „სამეცნიერო შრომების კრებული“, რომლის სარედაქციო კოლეგიაც დაკომპლექტებულია ადგილობრივი და უცხოელი წევრებისგან. პროგრამის სტუდენტების კვლევები ასევე ქვეყნდება უსდ-ს სხვადასხვა გამოცემებშიც.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიდწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები დეკლარირებულია უშუალოდ პროგრამაში, რომლის მიხედვითაც პროგრამის მიზნებია, სტუდენტს: <ul style="list-style-type: none">• შესძინოს სამართლის სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რომელიც არსებული ცოდნის გაფართოების, ინოვაციური მეთოდების გამოყენების, სისტემური და კრიტიკული გააზრების საშუალებას იძლევა;• გამოუმუშავოს სამართლის სფეროში ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული ახალი კვლევითი ან ანალიტიკური მეთოდების ან/და მიდგომების შემუშავების უნარი;• გამოუმუშავოს სამართლის სფეროში ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარი;• გამოუმუშავოს სამართლის სფეროში კომპლექსური პრობლემების გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი;• გამოუმუშავოს კოლეგებისა და ფართო საზოგადოებისათვის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში ახალი ცოდნის დასაბუთებულად, გარკვევით წარმოჩენისა და გადაცემის, ასევე ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გამართულ თემატურ დისკუსიებში მონაწილეობის უნარი;• გამოუმუშავოს საუნივერსიტეტო განათლებაში, სწავლებისა და კვლევის განხორციელების გზით, მონაწილეობის უნარი;

- გამოუმუშავოს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვითა და ინოვაციურობისა და დამოუკიდებლობის დემონსტრირებით, სამართლის სფეროში, კვლევის დაგეგმვისა და უახლეს მიღწევებზე დამყარებული კვლევითი პროექტების შემუშავების უნარი.

ამდენად, პროგრამის მიზნები ნათლად და მკაფიოდ ასახავს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომელთა გადაცემისა და გამომუშავებისკენაც არის მიმართული პროგრამა; პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის ასპექტებსაც და ორიენტირებულია, საერთაშორისო დონეზე გამართულ თემატურ დისკუსიებში მონაწილეობის უნარის გამომუშავებისკენ.

აღსანიშნავია, რომ დასახელებული მიზნები რეალისტური და მიღწევადია, რაც თვალსაჩინოა, უსდ-ს ადამიანური და მატერიალური რესურსის ჭრილში მათი განხილვის შემთხვევაში.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიზნები კორელაციაშია თავად უსდ-ს მიერ გაცხადებულ მისიასთანაც, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს:

- სწავლებისა და კვლევის განუყოფლობა, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, ქართულ და მსოფლიოს კულტურულ ღირებულებებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.
- უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალის მხარდაჭერა აკადემიური და მორალური განვითარებისა და სამოქალაქო წარმატების მიღწევაში მაღალი ხარისხის სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების უზრუნველსაყოფად.
- საკუთარი წვლილის შეტანა ქართული და საერთაშორისო საზოგადოების აკადემიური განათლებისა და ღირსების დამკვიდრებაში.

უსდ-ს თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, დგინდება, რომ პროგრამის შემუშავებისას განაღვივებული იყო სამართლის სფეროს განვითარების ტენდენციები და საერთაშორისო პრაქტიკაც, რაც წინამდებარე სტანდარტის შეფასების მიზნებისათვის დადებით მხარედ უნდა შეფასდეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები
- თვითშეფასების ანგარიში
- უსდ-ს ვებგვერდი (უსდ-ს მისიასთან მიმართებით)

<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
<p>საკუთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</p>
<p>➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის</p>

დასრულებისას;

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი პროგრამა მიზნად ისახავს სწავლის შვიდი შედეგის მიღწევას, კერძოდ კურსდამთავრებული:

1. აღწერს ეროვნული და უცხოური სამართლის, თანამედროვე იურიდიული მეცნიერების უახლეს მიღწევებსა და კომპლექსურ პრობლემებს, მათ შორის, იურიდიული კვლევის მიზნებს, ამოცანებს, ძირითად ეტაპებს, ძირითად ხერხებს, მოდელებს, იურიდიული კვლევის თანამედროვე ტენდენციებს, სწავლების ტრადიციულ და თანამედროვე მეთოდებს.
2. შეიმუშავებს სამართლის სფეროში ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ კვლევით ან ანალიტიკურ მეთოდებს ან/და მიდგომებს;
3. კრიტიკულად აანალიზებს და აფასებს სამართლის სფეროს ახალ, რთულ და წინააღმდეგობრივ იდეებსა და მიდგომებს;
4. დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს სამართლის სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების გადასაჭრელად;
5. მსჯელობს კოლეგებთან და ფართო საზოგადოებასთან სამართლის სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნისა და ამ სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ, დასაბუთებულად და გარკვევით წარმოაჩენს და გადმოსცემს არსებული ცოდნის ურთიერთკავშირს ახალ ცოდნასთან, მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გამართულ თემატურ დისკუსიებში;
6. მონაწილეობს საუნივერსიტეტო განათლებაში სწავლებისა და კვლევის განხორციელების გზით;
7. იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს, სამართლის სფეროში ინოვაციურობისა და დამოუკიდებლობის დემონსტრირებით გეგმავს ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ სამეცნიერო-კვლევით პროცესს და შეიმუშავებს უახლეს მიღწევებზე დამყარებულ კვლევით პროექტს/ნაშრომს.

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკის გაანალიზების შედეგად, უნდა

აღნიშნოს, რომ სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და სრულად ფარავს მიზნებით გაცხადებულ ცოდნას, უნარებს/კომპეტენციებსა და ღირებულებებს.

პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადია. პროგრამა შეიცავს კურიკულუმის რუკას, რომელიც შესაძლებლობას იძლევა მოხდეს თითოეული სწავლის შედეგის მიღწევაზე გათვლილი კურსის იდენტიფიცირება. პროგრამის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

უსდ-ს გააჩნია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გზამკვლევი და სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმაც. სწავლის შედეგების შეფასების გეგმით დგინდება, რომ სწავლის შედეგების შეფასებას ახორციელებს სამართლის აკადემიური პროგრამის განვითარების კომიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კოორდინირებით.

პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება სადისერტაციო ნაშრომით.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შვიდევე შედეგის შეფასების მიზნებისათვის განსაზღვრულია სამიხნე ნიშნულები. სწავლის შედეგების შეფასება ხდება შემდეგი ორი კომპონენტით: 1. დისერტაციის შინაარსობრივი მხარე; 2. ნაშრომის პრეზენტაცია და დისკუსიაში მონაწილეობა.

სწავლის შედეგები მიღწეულად მიიჩნევა, თუკი სტუდენტთან 65% აღნიშნულ კომპონენტებში მიიღებს 41-50 ქულას. აღნიშნულიდან გამომდინარე უსდ-ს მიერ სწავლის შედეგები მიღწეულად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუკი სტუდენტთან 65% პროცენტის საბოლოო შეფასება არანაკლებს 82 ქულას. სწავლის შედეგების გეგმის მიხედვით, სამიხნე ნიშნულიდან 20%-იანი გადახრის შემთხვევაში, გადაიხედება სწავლის შედეგები და მისი მიღწევის გზები (გვ. 2).

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გზამკვლევის მიხედვით, „სწავლის შედეგების შეფასების გეგმით უნდა განისაზღვროს სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაში ჩართულ სტუდენტთა რიცხვი ძალიან დიდია, შეიძლება შეფასდეს მათი ნაწილი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით“. ხოლო სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმის მიხედვით, „იმისათვის, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების განხორციელებული შეფასება იყოს ვალიდური, სანდო და გამჭვირვალე აუცილებელია პროგრამას ყავდეს მინიმუმ 15 კურსდამთავრებული.“ იმის გათვალისწინებით, რომ არ გვაქვს ინფორმაცია, თუ რამდენი სტუდენტი ამთავრებს პროგრამას სწავლებისთვის განსაზღვრულ 3 წლიან ვადაში, ამ მოცემულობით ექსპერტებისთვის განსაზღვრადი არ არის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების

<p>შეფასების პერიოდულობა. სასურველია, გადაიხედოს აღნიშნული წინაპირობა და განისაზღვროს პერიოდულობა, რომელიც შეიძლება არც იყოს დამოკიდებული კურსდამთრებულთა ამ კონკრეტულ რაოდენობაზე.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები; ○ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები; ○ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის რუკა; ○ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; ○ სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა; ○ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გზამკვლევი.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>სასურველია სწავლის შედეგების შეფასების გეგმით განისაზღვროს სწავლის შედეგების პერიოდულობა.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
<p>პროგრამით განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რომლის მიხედვითაც სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სამართლის მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს რომელსაც აქვს სპეციალობით მუშაობის არანაკლებ სამი წლის გამოცდილება. დოქტორანტობის კანდიდატს ასევე მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა, რაც უნდა დადასტურდეს საუნივერსიტეტო გამოცდით ან შესაბამისი სერთიფიკატით. პროგრამით გათვალისწინებულია ინგლისური ენის B 2 დონის შესაბამისი სერთიფიკატების და ქულების ნუსხა. ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი ათავისუფლებს კანდიდატს ინგლისურ ენაში გამოცდიდან. სერთიფიკატის აღიარება და გამოცდიდან გათავისუფლება ხორციელდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. ინგლისური ენის გამოცდიდან ასევე თავისუფლდებიან კანდიდატები, რომელთაც მაგისტრატურის ან დოქტორანტურის საფეხური გავლილი აქვთ ინგლისურ ენაზე ბოლო 2 წლის განმავლობაში.</p> <p>დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელ სერთიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში.</p> <p>პროგრამაზე ჩარიცხვის წესი დარეგულირებულია სადისერტაციო საბჭოსა და</p>

დოქტორანტურის დებულებით ასევე დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და მოთხოვნები შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საჯაროდ ხელმისაწვდომია უსდ-ს ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა
- სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება
- დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი
- <https://eeu.edu.ge/portfolio/phdlaw/>

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს გააჩნია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები. წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა შეესაბამება უსდ-ში დადგენილ პროცედურას.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს 60 კრედიტს. გათვალისწინებულია 5 სავალდებულო კომპონენტი (55 კრედიტი), რომელთა შორისაა სასწავლო კურსები: იურიდიული კვლევის მეთოდები - 5 კრედიტი; სწავლების თანამედროვე მეთოდები - 5 კრედიტი; პროფესორის ასისტენტობა 15 კრედიტი; პირველი და მეორე სადოქტორო სემინარი, თითო 15 კრედიტი; სტუდენტს შესაძლებლო აქვს არჩევითი ელემენტის ფარგლებში გაიაროს პროგრამით გათვალისწინებული სამი 5 კრედიტიანი სასწავლო კურსიდან ერთ-ერთი (კურსები: აკადემიური წერა იურისტებისათვის; უმაღლესი განათლების მენეჯმენტი; განათლების სამართალი და საუნივერსიტეტო კურიკულუმის პრინციპები).

აღსანიშნავია, რომ არჩევით ელემენტში შეიძლება აღიარებულ იქნეს, როგორც საქართველოს სხვა აკრედიტირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში

<p>ასევე, უცხოეთის აკრედიტირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსი.</p> <p>პროგრამის შინაარსი სრულყოფილად ასახავს ყველა აუცილებელ მონაცემს, მათ შორის ის ითვალისწინებს სწავლის შედეგებსა და დაშვების წინაპირობებს.</p> <p>პროგრამის მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს.</p> <p>პროგრამის შინაარსობრივი მხარე თანმიმდევრულია, სასწავლო კურსები ლოგიკურადაა განლაგებული კურიკულუმის რუკაზე და უზრუნველყოფს განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p>

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამით გათვალისწინებულია ხუთი სავალდებულო კომპონენტი, კერძოდ ორი სასწავლო კურსი: იურიდიული კვლევის მეთოდები - 5 კრედიტი; სწავლების თანამედროვე მეთოდები - 5 კრედიტი; პროფესორის ასისტენტობა 15 კრედიტი; პირველი და მეორე სადოქტორო სემინარი (ჯამში 30 კრედიტი).

აღიშნული სავალდებულო კომპონენტების სილაბუსებით დასახული სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან და შესაბამისად, უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი, თავის მხრივ, ადეკვატურია დოქტორანტურის საფეხურისთვის და უზრუნველყოფს თავად კურსით გათვალისწინებულ შედეგებზე გასვლას.

სავალდებულო სასწავლო კომპონენტებისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულია ადეკვატური სავალდებულო ლიტერატურა, რომელიც შეესაბამება კურსების შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია უსდ-ს ბიბლიოლოთეკაში, როგორც მატერიალური ასევე ციფრული სახით.

რაც შეეხება არჩევით სასწავლო კურსებს: პროგრამით გათვალისწინებულია სასწავლო კურსი „აკადემიური წერა იურისტებისათვის“, ხოლო წარმოდგენილი სილაბუსით სასწავლო კურსის სახელწოდებაა „აკადემიური წერა“ სასურველია ტექნიკური ხარვეზი გასწორდეს და სილაბუსითა და პროგრამით გათვალისწინებული სახელწოდებები იყოს შესაბამისობაში.

ასევე მიზანშეწონილია აღნიშნული სასწავლო კურსის შინაარსი გადაიხედოს, რადგან რიგ საკითხებთან მიმართებით, ნაკლებად შეესაბამება სადოქტორო საფეხურს. მაგ., პირველ თემაში განსაზღვრული საკითხები (რა არის აკადემიური წერა? რა მნიშვნელობა და პრაქტიკული დანიშნულება აქვს? აკადემიური წერა, სამართლებრივი წერა და აკადემიური სამართლებრივი წერა-ცნებები, ინსტიტუტები და ურთიერთმიმართება) მე-5 თემაში განსაზღვრული საკითხები (ნაშრომის სტრუქტურის შექმნის წესი, ნაშრომის სტრუქტურიზაცია და სისტემატიზება, ერთიანი აკადემიური სისტემა და ლოგიკურობა, თავები, ქვეთავები, პუნქტები და პარაგრაფები), ასევე მე-9 თემით გათვალისწინებული საკითხების ნაწილი (კერძოდ: ციტატა და პერიფრაზი, ციტირების დანიშნულება და მეთოდი. როდისაა საჭირო ციტირება? პლაგიატი და აკადემიური პატიოსნება), იმის გათვალისწინებით, რომ დოქტორანტურის სტუდენტს მაგისტრატურის საფეხურზე შესრულებული აქვს სამაგისტრო ნაშრომი, აღნიშნული ცოდნა მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს მიღებული მაგისტრატურის საფეხურზე. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ამ სასწავლო კურსის შინაარსი მოერგოს სადოქტორო საფეხურს, რათა სტუდენტს მისცეს ახალი, სწავლების საფეხურთან ადეკვატური კომპლექსური ცოდნა. ამასთან, სასწავლო მასალა რიგ შემთხვევებში წარმოადგენს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის შესაბამის მასალას (მაგ. ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, ზ.მეიშვილი, ლ.კალანდაძე, ნ.გიგაშვილი, გ.ნონიაშვილი, ს.წაქაძე, გ.ჩიფჩიური, სამართლებრივიწერა, თბ., 2017), რის გამოც, სასურველია ლიტერატურის სადოქტორო პროგრამის საფეხურთან ადეკვატურობის კონტექსტში შეფასებაც.

თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული სასწავლო კურსი არის არჩევითი და პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევაზე გავლენას არ ახდენს, უსდ-ს არასავალდებულო ხასიათის რჩევის სახით, პროგრამის განვითარების მიზნებისთვის, ეძლევა რჩევა აღნიშნული სასწავლო კურსის შინაარსისა და ლიტერატურის გადახედვის თაობაზე.

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები;
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>შესაბამისობაში მოვიდეს არჩევითი სასწავლო კურსის „აკადემიური წერა“ სილაბუსით და პროგრამით გათვალისწინებული სახელწოდებები.</p> <p>სასწავლო კურსის „აკადემიური წერა“ შინაარსი და სავალდებულო ლიტერატურა გადაიხედოს/შეფასდეს სადოქტორო პროგრამის საფეხურის კომპლექსურობის ჭრილში;</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი სამართლის სადოქტორო პროგრამის სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში ჩართულობის დოკუმენტის მიხედვით, დგინდება რომ უსდ-ს მიერ უზრუნველყოფილია სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში. სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობის მხარდასაჭერად შექმნილია და დანერგილია კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერი ისეთი მექანიზმები როგორცაა სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსება და სტუდენტური პროექტების დაფინანსება; უსდ-ს მიერ სისტემატურად ხორციელდება სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის საგრანტო კონკურსები და საერთაშორისო კონფერენციები; პროგრამის სტუდენტების ნაშრომები, უსდ-ს დაფინანსებით ქვეყნდება უსდ-ს ორენოვან გამოცემაში „სამეცნიერო შრომების კრებული“, რომლის სარედაქციო კოლეგიაც დაკომპლექტებულია ადგილობრივი და უცხოელი წევრებისგან. პროგრამის სტუდენტების კვლევები ასევე ქვეყნდება უსდ-ს სხვადასხვა გამოცემებშიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის სადოქტორო პროგრამის სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში ჩართულობა
- სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსების წესი
- სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი
- სამეცნიერო შრომების კრებული [East European University \(eeu.edu.ge\)](http://East European University (eeu.edu.ge))

რეკომენდაციები:

<p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>პროგრამის სტუდენტების ნაშრომები, უსდ-ს დაფინანსებით ქვეყნდება უსდ-ს ორენოვან გამოცემაში „სამეცნიერო შრომების კრებული“, რომლის სარედაქციო კოლეგიაც დაკომპლექტებულია ადგილობრივი და უცხოელი წევრებისგან. პროგრამის სტუდენტების კვლევები ასევე ქვეყნდება უსდ-ს სხვადასხვა გამოცემებშიც.</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</p>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის</p>

შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამის სასწავლო კურსებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სადოქტორო პროგრამის საფეხურს და სასწავლო კურსის შინაარსს, უზრუნველყოფს შესაბამისი სასწავლო კურსითა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და აკმაყოფილებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანების მოთხოვნებს.</p> <p>სასწავლო კურსების სილაბუსები ასახავს კურსის მიზანს, მისაღწევ შედეგებს და შეფასების მეთოდებს. სასწავლო პროცესში სასწავლო კურსით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევა ხდება ისეთი მეთოდებით, როგორცაა, ლექცია, სადოქტორო სემინარი, სამუშაო ჯგუფში მუშაობა და სხვა. ასევე ისეთი აქტივობები, როგორცაა ანალიზი, სინთეზი, წერითი მუშაობა ვერბალური ახსნა-განმარტება, შემთხვევის ანალიზი (case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ინდუქცია, დედუქცია, გონებრივი იერიში და სხვა; სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული სწავლის მეთოდები და აქტივობები შესაბამისობაშია სასწავლო კურსის შინაარსსა და სპეციფიკასთან.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სასწავლო კომპონენტების სილაბუსები
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

